სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/22

ქ. თბილისი

26 თებერვალი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 5 თებერვლის საბჭოს სხდომის №1 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**